Ministerie van Veiligheid en Justitie

თქვენ ხართ ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში

თქვენ ხართ დაკავებული როგორც ეჭვმიტანილი და წამოყვანილი საგამოძიებო სამსახურის მიერ, როგორიცაა პოლიცია. ან თქვენ ხართ გამოძახებული ჩვენების მისაცემად. თქვენი უფლებები და რა მოხდება თქვენი დაკითხვის შემდეგ?

ამ საინფორმაციო ფურცელში მოყვანილია თქვენი უფლებები და მოვალეობები და თუ როგორ წარიმართება შემდგომი პროცესი. გთხოვთ წაიკითხოთ ეს საინფორმაციო ფურცელი ყურადღებით.

გაქვთ კითხვები?

გაქვთ ამის შემდეგ კიდევ კითხვები? მაშინ დაუსვით ეს კითხვები თქვენს ადვოკატს, პოლიციას, ან სხვა საგამოძიებო სამსახურს, რომელთანაც თქვენ გაქვთ საქმე. როდესაც ამ საინფორმაციო ფურცელში ნახსენებია „პოლიცია“, აქ შეიძლება ასევე სხვა საგამოძიებო სამსახურიც იყოს მხედველობაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ინტერნეტ-გვერდი www.juridischloket.nl ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 0900 - 8020 (€ 0,25 წუთში).

თუ თქვენ არასაკმარისად ფლობთ ნიდერლანდურ ენას

თქვენ არასაკმარისად ფლობთ ნიდერლანდურ ენას? მაშინ თქვენ გაქვთ მთარგმნელის მოთხოვნის უფლება. ეს თქვენთვის უფასო იქნება. თქვენ აგრეთვე გაქვთ ზოგიერთი საბუთის გადათარგმნის უფლება, როგორებიცაა ბრძანება დროებითი დაკავების შესახებ და სასამართლოში გამოძახების უწყება.

თქვენ ხართ დაკავებული პოლიციის მიერ და წამოყვანილი პოლიციის განყოფილებაში

თუ თქვენ პოლიციის მიერ ხართ დაკავებული როგორც ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში, მაშინ თქვენ ჩამოგართმევენ ჩვენებას. ეს ნიშნავს იმას, რომ პოლიციას შეუძლია დაგისვათ თქვენ კითხვები.

თქვენი უფლებები:

- თქვენ გაქვთ უფლება იცოდეთ თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში ხართ ეჭვმიტანილი.
- თქვენ არ ხართ ვალდებული გასცეთ პასუხი დასმულ კითხვებზე (დუმილის უფლება).
- თქვენ გაქვთ უფლება (პირველ) დაკითხვამდე კონფიდენციალურად გაესაუბროთ ადვოკატს.
- თქვენ გაქვთ დაკითხვაზე ადვოკატის დასწრების უფლება. ამის შესახებ ქვემოთ მეტი ინფორმაციაა მოყვანილი.
- უთხარით პოლიციას, თუ რამე ვერ გაიგეთ. აცნობეთ აგრეთვე თუ თქვენ თავს კარგად არ გრძნობთ, გსურთ ექიმთან შეხვედრა ან სასწრაფოდ გესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება ან წამალი.
- თუ პროკურორი (პროკურორის თანაშემწე) ჩათვლის საჭიროდ, რომ თქვენ (პოლიციის) განყოფილებაში უნდა დარჩეთ, შეგიძლიათ თხოვოთ, რომ მესამე პირს (მაგალითად ოჯახის წევრს ან თქვენს თანა მცხოვრებს) შეატყობინოთ თქვენი დაკავების შესახებ. ზოგჯერ

პროკურორმა ან პროკურორის თანაშემწემ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამის გაკეთება ჯერ დროებით არ შეიძლება. ამის შესახებ ის შეგატყობინებთ.
- არ ხართ ნიდერლანდების მოქალაქე? მაშინ შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ თქვენი დაკავების შესახებ ეცნობოს თქვენი ქვეყნის საკონსულოს ან საელჩოს.
- თქვენ გაქვთ უფლება გაეცნოთ საქმეში არსებულ საბუთებს, თუ ასეთები არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია აკრძალოს ამის გაკეთება. ამის შესახებ ის თქვენ შეგატყობინებთ.

რამდენი ხანი შეუძლია პოლიციას თქვენი დაკავება?

- დამოკიდებულია თუ რა დანაშაულის ჩადენაში ხართ ეჭვმიტანილი, თქვენ შეიძლება იყოთ დაკავებული პოლიციის განყოფილებაში მაქსიმუმ 90 საათის (3 დღე და 18 საათი) განმავლობაში.
- თუ ამის შემდეგ, გამოძიების ჩასატარებლად საჭიროა თქვენი დაკავების გაგრძელება, მაშინ ამის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ. შეეკითხეთ თქვენს ადვოკატს, თუ რის გაკეთება შეგიძლიათ, თუ არ ეთანხმებით თქვენს დაკავებას ან დაკავების გაგრძელების გადაწყვეტილებას.

ადვოკატის აყვანის უფლება

პოლიციის მიერ თქვენს დაკითხვამდე თქვენ გაქვთ უფლება ნახევარი საათის განმავლობაში კონფიდენციალურად გაესაუბროთ ადვოკატს. საჭიროების შემთხვევაში ეს შეიძლება იქნეს გაგრძელებული კიდევ ნახევარი საათით.

- თუ თქვენ ხართ ეჭვმიტანილი ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 12 ან მეტი წლით (როგორიცაა სხვათა შორის განზრახ მკვლელობა, მკვლელობა განზრახვის გარეშე) ან თუ პოლიცია ჩათვლის, რომ თქვენ სულიერად სუსტ მდგომარეობაში იმყოფებით, მაშინ თქვენს საქმეში ავტომატურად ჩაირთვება ადვოკატი, რათა თქვენ გაგესაუბროთ. ეს თქვენთვის უფასო იქნება.
- თუ თქვენ არ გაქვთ ადვოკატთან გასაუბრების სურვილი, მაშინ ეს გარკვევით უნდა აუხსნათ ადვოკატს.
- თუ თქვენ ხართ ეჭვმიტანილი მძიმე დანაშაულის ჩადენაში - როგორიცაა დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს თქვენს წინასწარ პატიმრობას საქმის პროცესის მსვლელობისას (მაგალითად გატეხით ქურდობა) - მაშინ თქვენ თვითონ შეგიძლიათ აირჩიოთ გსურთ თუ არა დაკითხვამდე ადვოკატთან გასაუბრება. პოლიცია იზრუნებს ადვოკატის ჩართვაზე. ეს თქვენთვის უფასო იქნება.
- თუ თქვენ ხართ ეჭვმიტანილი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მაშინ თქვენ თვითონ შეგიძლიათ აირჩიოთ გსურთ თუ არა დაკითხვამდე ადვოკატთან გასაუბრება. ამ შემთხვევაში თქვენ თვითონ უნდა დაუკავშირდეთ ადვოკატს და გადაიხადოთ მასთან გასაუბრების საფასური.

აგრეთვე თქვენ გაქვთ უფლება, რომ ადვოკატი დაესწროს თქვენს დაკითხვას. თუ თქვენ ეჭვმიტანილი ხართ მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ეს თქვენთვის უფასო იქნება. თუ თქვენ ეჭვმიტანილი ხართ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში, მაშინ ეს თანხა თქვენი გადასახდელია.

თუ თქვენთვის გაუგებარია, თუ რომელი სიტუაციაა თქვენთვის შესატყვისი, მაშინ შეეკითხეთ:

- თუ თქვენს სიტუაციაში ადვოკატი ავტომატურად იქნება გამოძახებული, ან თქვენ თვითონ შეგიძლიათ მისი არჩევა;
- თუ თქვენ თვითონ უნდა გადაიხადოთ ადვოკატთან გასაუბრების საფასური.

თუ თქვენ თვითონ იცნობთ ადვოკატს, რომლის თანადგომაც თქვენ გირჩევნიათ, უთხარით ეს პოლიციას. თუ თქვენი ადვოკატი არ არის ჩაწერილი იურიდიული დახმარების საბჭოში, მაშინ მისი საფასური თქვენ თვითონ უნდა გადაიხადოთ.
თუ პოლიცია თქვენთვის ადვოკატის ჩასართავად, თქვენს პირადულ მონაცემებს გადასცემს იურიდიული დახმარების საბჭოს, ეს მონაცემები შეტანილი იქნება ამ საბჭოს ადმინისტრაციაში.

- თუ თქვენ თავდაპირველად უარს იტყვით ადვოკატთან შეხვედრაზე, შეგიძლიათ მოგვიანებით თქვენი გადაწყვეტილება შეცვალოთ.
- თუ თქვენ განაცხადებთ, რომ სურვილი გაქვთ გამოიყენოთ ადვოკატის თანადგომის უფლება, მაშინ პოლიციას არ აქვს უფლება დაიწყოს თქვენი დაკითხვა სანამ თქვენ ადვოკატს არ გაესაუბრებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას გადაუდებელი აუცილებლობა არ საჭიროებს, როგორიცაა სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა.
- გაითვალისწინეთ, რომ ადგილზე ადვოკატის მოსვლას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. პრინციპში, ადვოკატი გამოძახებიდან ორი საათის ვადაში უნდა გამოცხადდეს.

პოლიციამ თქვენ გამოგიძახათ პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის ჩასატარებლად

თუ თქვენ ხართ გამოძახებული პოლიციაში დასაკითხად, რადგანაც თქვენ ხართ ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში, მაშინ დაკითხვამდე თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ადვოკატს. მას შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია და მოგცეთ იურიდიული რჩევა. ადვოკატს შეუძლია დაესწროს თქვენს დაკითხვას. თუ თქვენ ჩართავთ ადვოკატს, ამისი საფასური თქვენი გადასახადი იქნება.

თქვენ უნდა წარმოადგინოთ თქვენი პიროვნების დამადასტურებელი საბუთები. თან წამოიღეთ ძალაში მყოფი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, როგორიცაა პასპორტი ან მართვის მოწმობა.

რით შეუძლია ადვოკატს თქვენი დახმარება თქვენს დაკითხვამდე?

სანამ თქვენ დაგკითხავენ, ადვოკატს შეუძლია:

- მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენაშიც ხართ ეჭვმიტანილი
- მოგცეთ იურიდიული რჩევა
- მოგიყვეთ პოლიციის მიერ დაკითხვის ჩატარების მიმდინარეობის შესახებ
- მოგიყვეთ თქვენი უფლება-მოვალეობების შესახებ დაკითხვის დროს
- დაუკავშირდეს თქვენს ახლობლებს ან სამსახურის ხელმძღვანელს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია თქვენი სიტუაციის შესახებ (თუ გაქვთ ამის სურვილი)

პოლიცია არ ისმენს თქვენს საუბარს ადვოკატთან. ყველაფერი, რასაც თქვენ ადვოკატს მოუყვებით იქნება კონფიდენციალური. თქვენი ნებართვის გარეშე ადვოკატს არ აქვს უფლება ვინმეს მოუყვეს თქვენი მონაყოლის შესახებ. არც პოლიციას და არც პროკურორს.

რით შეუძლია ადვოკატს თქვენი დახმარება დაკითხვის დროს?

- ადვოკატს შეუძლია დაკითხვამდე და დაკითხვის შემდეგ გააკეთოს შენიშვნები ან დაუსვას კითხვები დაკითხვის ჩამტარებელ თანამშრომელს.
- თქვენ ან თქვენს ადვოკატს შეგიძლიათ დაკითხვის დროს მოითხოვოთ დაკითხვის დროებით შეწყვეტა მოსალაპარაკებლად. თუ ამას ხშირად გააკეთებთ, დაკითხვის ჩამტარებელ თანამშრომელს შეუძლია ამაზე უარი გითხრათ.
- თუ თქვენ ვერ გაიგეთ შეკითხვა ან შენიშვნა, თუ თქვენზე დაკითხვის დროს ხდება უკანონო ზეწოლა ან თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეგიძლიათ გააგრძელოთ ჩვენების მიცემა, მაშინ ადვოკატს შეუძლია ამაზე მიუთითოს.
- დაკითხვის შემდეგ თქვენ და თქვენს ადვოკატს შეგიძლიათ გადახედოთ დაკითხვის ოქმს და მიანიშნოთ, თუ მასში რამე უზუსტობებია შეტანილი.

რა მოხდება თქვენი დაკითხვის შემდეგ?

თქვენი საქმის პროცესი შეიძლება სხვადასხვაგვარად დასრულდეს:

საქმე დაიხუროს

თქვენი საქმე შეიძლება (პირობითად) დაიხუროს. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი სამართლებრივი დევნა შეწყდება. მაგრამ, საქმის დახურვის გადაწყვეტილებაში შეიძლება იყოს მოყვანილი პირობები, რომელიც თქვენ უნდა დაიცვათ. მაგალითად, დაზარალებულთან კონტაქტის აკრძალვა ან/და პრობაციის სამსახურის ზედამხედველობის განსაკუთრებული პირობები. არ დაიცავთ ამ პირობებს ან კვლავ ჩაიდენთ დანაშაულს? მაშინ შესაძლებელია ამ საქმესთან დაკავშირებით მაინც გამოძახებულ იქნათ სასამართლოზე.

გადაწყვეტილება პასუხისმგებლობის შესახებ

თუ პროკურორი ჩათვლის, რომ თქვენ დამნაშავე ხართ, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი პასუხისმგებლობის შესახებ. ეს გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს მაგალითად, ფულად ჯარიმას ან იძულებით სამუშაოებს. პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს მანქანის მართვის აკრძალვას ან/და ქცევასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს (მაგალითად კონტაქტის აკრძალვას ან პრობაციის სამსახურთან აუცილებელ კონტაქტის დამყარებას).

გსურთ მყისიერად დახუროთ თქვენი საქმე? შეგიძლიათ გადაიხადოთ ჯარიმა პირდაპირ პოლიციაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ წინასწარ მოილაპარაკებთ ამის შესახებ ადვოკატთან. გადაიხდით მაშინვე? ამ შემთხვევაში თქვენი საქმე საბოლოოდ დასრულებულია. ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ აღარ შეგეძლებათ გადაწყვეტილების გასაჩივრება. მიიღებს პროკურორი გადაწყვეტილებას მანქანის მართვის აკრძალვასთან ან იძულებით სამუშაოებთან დაკავშირებით? მაშინ ჯერ ჩატარდება თქვენი მოსმენა. ამ მოსმენამდე თქვენ შეგიძლიათ შეხვდეთ თქვენს ადვოკატს. მას აგრეთვე შეუძლია დაესწროს ამ მოსმენას.

გსურთ თქვენი ადვოკატის დასწრება მოსმენაზე? მაშინ ეს მოსმენა - თუ ამის საჭიროება არსებობს - ჩატარდება სხვა დროს და სხვა ადგილას. ამ მოსმენისთვის შეიძლება ვიდეო კონტაქტი იქნას გამოყენებული.

საპროცესო შეთანხმება

პროკურორს შეუძლია შემოგთავაზოთ საპროცესო შეთანხმება. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა იქნას შესრულებული გარკვეული პირობები. თუ თქვენ ამ პირობებს შეასრულებთ, შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ შემდგომი სამართლებრივი დევნა. უმთავრესი პირობებია: ფულადი ჯარიმის გადახდა, დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება ან ჩამორთმეულ საქონელზე ნებაყოფლობით უარის თქმა. არ შეასრულებთ ამ შეთანხმების პირობებს, ან დროულად არ შეასრულებთ მათ? მაშინ უნდა წარდგეთ მოსამართლის წინაშე. საპროცესო შეთანხმების პირობაც შეგიძლიათ მაშინვე შეასრულოთ. მაგალითად, თუ თქვენ ნიდერლანდებში არ გაგაჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ან ბინადრობის ადგილი.

მოსამართლე

თქვენი საქმე შეიძლება გადაეგზავნოს მოსამართლეს. მაშინ თქვენ მიიღებთ სასამართლოში გამოძახების უწყებას. აქ იქნება აღნიშნული თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში

ხართ თქვენ ეჭვმიტანილი და თარიღი, დრო და ადგილი სადაც იქნება თქვენი საქმე განხილული.

ნასამართლეობა თუ არა?

ეთანხმებით განაჩენს? თუ ეთანხმებით პროკურორის მიერ შემოთავაზებულ საპროცესო შეთანხმებას? მაშინ - როგორც მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანის შემთხვევაში - იქნება გაკეთებული ჩანაწერი იუსტიციის საბუთებში (ნასამართლეობა). ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ვერ მიიღებთ ცნობას კარგი ქცევის შესახებ (VOG), რომელიც თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ახალი სამსახურის დაწყებისას ან სტაჟირების გავლისას. ადვოკატს შეუძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. სთხოვეთ პოლიციაში ბროშურა, სადაც მოყვანილია შედეგების ახსნა.
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ინტერნეტ-გვერდი: www.justis.nl/producten/vog.

ეს საინფორმაციო ფურცელი გამოცემულია:
უსაფრთხოების და იუსტიციის სამინისტროს მიერ
საფოსტო ყუთი 20301 | 2500 EH | ჰააგა

2017 წლის მარტი | 101106

ამ საინფორმაციო ფურცლის შინაარსიდან
სამართლებრივი ვალდებულებები არ
გამომდინარეობს.